



საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია  
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის  
მდივნის  
განკარგულება №02-549/2018

საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებისათვის ა. (ა) . ი. პ.

„მომავლის ნათება“ დამკვირვებლების რეგისტრაციის თაობაზე

ქ. თბილისი

2018 წელი 23 ოქტომბერი

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-15 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-40 მუხლის მე-7 პუნქტის, 77-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 78-ე მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, ვადგენ:

**მუხლი 1.** საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებისათვის რეგისტრაციაში გატარდნენ ადგილობრივ დამკვირვებლებად და მიენიჭოთ დამკვირვებლის სტატუსი ყველა დონის შესაბამის საარჩევნო კომისიაში ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის ა. (ა) . ი. პ. „მომავლის ნათება“ წარმომადგენლებს, დანართის შესაბამისად.

**მუხლი 2.** ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მისი გამოცემიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

**მუხლი 3.** ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

კომისიის მდივანი

გიორგი ჯავახიშვილი